ორი ქულა აღებულია

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რომელი გუნდისათვის უფრო საჭირო იყო გუშინდელი მატჩის ქულები. როსტოველთა პერსპექტივა გათამაშების ცხრილის შუაგულს არ სცდება, ხოლო თბილისელთათვის (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლენინგრადში დაკარგულ იქნა გაუთვალისწინებელი 2 ქულა) მიზანი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო _ გამარჯვება.

ამიტომ დინამოელებმა მთელი მონდომებით, ენერგიულად ჩაატარეს მატჩი. მართალია, ხურცილავასი და გ. სიჭინავს დანაკლისი საგრძნობი იყო, მაგრამ გუნდმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შინ დარჩენილი 4 მატჩის წინ ჩამოეტანა ესოდენ საჭირო 2 ქულა.

პირველ ტაიმში გარკვეული უპირატესობა არც ერთ გუნდს არა ჰქონია. თამაში ძირითადად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა, მაგრამ შესვენების შემდეგ თბილისელებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება. ყურადღებით, იმედიანად მოქმედებდა დაცვა. ნახევარმცველები საჭიროების შემთხვევაში აქტიურად მონაწილეობდნენ იერიშებში, სადაც ხშირად და სახიფათოდ გადიოდნენ გარემარბები.

როსტოველები კარგა ხანს ახერხებდნენ კარის უვნებელყოფას, მაგრამ მე-80 წუთზე გოლი მაინც იქნა გატანილი. პეტრიაშვილი კარგად გავიდა მარჯვენა ფლანგზე, ჩააწოდა საჯარიმო მოედანზე, სადაც იამანიძესთან ბრძოლაში ლუბარცევმა დაკარგა ბურთი. ამ მომენტში თავისუფალ პოზიციაში აღმოჩნდა კალოევი, რომელმაც ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარში _ 1:0.

ამ გოლმა 2 უაღრესად საჭირო ქულა მოუტანა თბილისის “დინამოს”.

“ლელო”, 3 ნოემბერი, 1962 წ.